ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3740561

ნომერი: AR1563944

თარიღი : 11.12.2017

გაცემის თარიღი : 18.12.2017

გაცნობის თარიღი : 18.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N29-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ელიზბარაშვილი პ/ნ 01024017633
- ბახტრიონის 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის №12381 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 დეკემბერს NAR1563944 განცხადებით მომართეს ამხანაგობა "იმედი ჰაუსი"-ს თავმჯდომარემ პაატა ელიზბარაშვილმა, ზურაბ გაბელიამ, ომარ გურგენიძემ, ნათია გორდაძემ, თამარ თავბერიძემ, ბადრი ქოჩურმა, მაყვალა ელიზბარაშვილმა და ხათუნა მახათაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის №12381 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, წყნეთის გზატკეცილი N29 -ში, N01.14.07.001.013 (ფართობი 1242 კვ.მ) საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ ზონაში) ზონაში (კ1-0.7 კ2-3.0) მრავალფუნქციური მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით 2007 წლის 15 ოქტომბერს გაიცა №12381 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 20 მარტის N583 განკარგულებით, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილის N29-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ2=5.0.
სამსახურის 2014 წლის 15 აგვისტოს №1436222 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, კერძოდ დაემატა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.14.07.001.013, ფართი: 1242 კვ.მ. რეგისტრაციის N882014417533, მომზადების თარიღი: 08.08.2014 წ.).
სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს №1438787 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, წყნეთის გზატკეცილი, №29-ში, ამხანაგობა "იმედი ჰაუს"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.07.001.013), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 18 აგვისტოდან 2016 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 05 ოქტომბრის N40 სხდომაზე განხილულ იქნა ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 20 მარტის N583 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი, სადაც გაიცა დადებითი რეკომენდაციები, აღნიშნული ოქმის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 ოქტომბრის N1-2253 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის 2014 წლის 20 მარტის N583 განკარგულებაში, რომლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი N29-ის მიმდებარედ/წყნეთის გზატკეცილი N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N01.14.07.001.041) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა: კ2=4.6.“.
დღეის მდგომარეობით, ვინაიდან განხორციელდა N01.14.07.001.013 და N01.14.07.001.031 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება და შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები, განმცხადებლები ითხოვენ აღნიშნული ცვლილების ასახვას ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის №12381 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.14.07.001.041 განცხადების ნომერი: 882017179373 მომზადების თარიღი: 13/03/2017 ფართობი: 1635 კვ.მ,) საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს 01.14.07.001.041, ფართობად 1635 კვ.მ,);
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის N12381 ქალაქთმშენებლობითი პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 ოქტომბრის N1-2253 ბრძანება;
3. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის N12381 ქალაქთმშენებლობითი პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: ამონაწერში საჯარო რეესტრიდან (რეგ.N 882017179373 08/05/2017) ფიქსირდება ვალდებულება შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. პროექტის შეთანხმების სტადიაზე უნდა განხორციელდეს აღნიშნული ვალდებულების მოხსნა და წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 15 ოქტომბრის №12381 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ

არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.